

საქართველოს აზერბაიჯანელთა საზოგადოების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო
ორგანიზაციების საერთაშორისო უწყებებისადმი

მიმართვა

ჩვენ, საქართველოს აზერბაიჯანელთა საზოგადოების წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციები დიდი მწუხარებით მოგახსენებთ, რომ 4 ივნისს ქალბაჯარის რაიონის სოფელ სუსუზლულში, ოკუპაციიდან გათავისუფლებულ სახელმწიფო ტერიტორიებზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ტელევიზიის თანამშრომლები სირაჯ აბიშოვი და მაჰარამ იბრაგიმოვი დაილუპნენ დანადგარულ ადგილებზე.

გადამღები ჯგუფის სატრანსპორტო საშუალების ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე შეჯახების შედეგად, საერთო ჯამში დაიღუპა 3 ადამიანი, ხოლო 4 ადამიანი კი მძიმედ დაშავდა.

ომის დამთავრების შემდეგ სომეხი ოკუპანტების მიერ დანადგარულ ნაღმებშია მოხვედრილი 140-ზე მეტი ადამიანი, მათგან 27 დაღუპულია. მომხდარი ტრაგედია გვიჩვენებს, რომ სომხეთი ჯერ კიდევ ახორციელებს რეგიონში მზაკვრულ პოლიტიკას. ოკუპაციიდან გათავისუფლებულ ტერიტორიებზე გრძელდება დანადგარა.

ამრიგად, რეგიონში მოვალეობის შემსრულებელი მედიის წარმომადგენლების, სამოქალაქო პირებისა და ადგილზე მომუშავე ადამიანების სიცოცხლისათვის არსებობს სერიოზული საშიშროება და აღნიშნული ვითარება ჩვენ, საზოგადოების წევრებს, ძალიან გვაწუხებს.

ჩვენ, როგორც საზოგადოების წევრები მივმართავთ გაეროს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის ევროპის საბჭოს, აგრეთვე „Amnesty International“-ს და „Human Rights Watch“-ს ადამიანის უფლებების დაცვის ჯგუფებს, რომ სომხეთის ძალოვანი სტრუქტურების მიერ ოკუპირებულ და 44 დღიანი ომის შედეგად გათავისუფლებული დანადგარული რუკების არ მიცემით და ამჟამად საიდუმლო გზებით სახელმწიფოში შესვლით, ახორციელებენ დანადგარის პროცესს, რითაც უხეშად არღვევენ ადამიანის საერთაშორისო უფლებებს, ჰუმანიტარულ ნორმებსა და პრინციპებს.

სომხეთის სახელმწიფოს ასეთი სეპარატისტული ქმედებების შედეგად მედიის წარმომადგენლების, სამოქალაქო პირების სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. ოკუპანტი ქვეყნისგან მოვითხოვთ 30 წლის განმავლობაში ოკუპაციაში მყოფ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაკრძალული ნაღმების რუკების გამოქვეყნებას და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მკაცრი და სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აზერბაიჯანის საერთაშორისო სამართლით აღიარებულ საზღვრებს მიღმა დანადგარის პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით.